კომერციული ბანკი სს „თიბისი ბანკი“-სთვის (ს/კ 204854595) დაკისრებული ფულადი ჯარიმა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სს „თიბისი ბანკი“ (ს/კ 204854595, ლიცენზიის ნომერი №85) „კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის 3^1 და 3^4 პუნქტების შესაბამისად - 52,000 (ორმოცდათორმეტი ათასი) ლარით დააჯარიმა.

კომერციული ბანკი დაჯარიმდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მოთხოვნების, კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის წერილობითი მითითების მრავალჯერადი დარღვევისთვის და „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 17 თებერვლის №14/04 ბრძანებით დამტკიცებული კოდექსის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის დარღვევისთვის (ორი შემთხვევა).